

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N9 - იმეილ ბანკი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს 1.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.2 SOLO X კლიენტი - SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი ერთ-ერთი სახეობის ანგარიშთა პაკეტის, SOLO X ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი.“
2. შეიცვალოს 2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“
 2. იმეილ ბანკის საშუალებით, კლიენტი უფლებამოსილია განაცხადში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, განაცხადში მოცემული ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (WM კლიენტის შემთხვევაში აგრეთვე ელექტრონული ფოსტის მისამართზე: WMOperations@bog.ge), ბანკს მისცეს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ოპერაციების შესახებ დავალება. ამასთან:
 - 2.1. დავალება შესაძლებელია გაიცეს წინამდებარე დანართის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით, კლიენტის მიერ დავალების დადასტურების გზით;
 - 2.2. SOLO X კლიენტის შემთხვევაში დავალება შესაძლებელია გაიცეს მხოლოდ წინამდებარე დანართის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით, კლიენტის მიერ დავალების დადასტურების გზით.“
3. შეიცვალოს 4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“

“4. იმეილ ბანკის საშუალებით SOLO კლიენტი (მათ შორის SOLO X კლიენტი) უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი ოპერაციების შესრულება.”
4. შეიცვალოს 12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“
 12. ბანკი უფლებამოსილია, განაცხადში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტით კლიენტის მიერ ბანკისთვის გამოგზავნილი დავალება ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით (სატელეფონო ან/და სხვა), კლიენტთან კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული დავალება, გადაიტანოს ბანკისთვის სასურველ ფორმაში/ფორმატში (მათ შორის Word, PDF ან/და სხვა), გაუგზავნოს აღნიშნული სახის დავალება კლიენტს განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოითხოვოს კლიენტის მიერ დავალების დადასტურება ამავე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საპასუხო შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, კლიენტმა დავალება უნდა დაადასტუროს ბანკის მიერ ელექტრონული ფოსტის გაგზავნის დღის 18:00 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალება გაუქმდება ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთან:
 - 12.1. SOLO კლიენტის (მათ შორის SOLO X კლიენტის) შემთხვევაში, კრედიტზე გადახდის თარიღის/გრაფიკის ცვლილების და საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაციის შესახებ დავალება კლიენტის მიერ შეიძლება დადასტურებულ იქნეს ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო საბანკო დღის 18:00 საათამდე;
 - 12.2. WM კლიენტის შემთხვევაში, დავალება შეიძლება დადასტურებულ იქნეს ბანკის მიერ განსაზღვრულ დრომდე.“